29 ნოემბერს ჩატარდება მათემატიკის ოლიმპიადის I უფასო ტური
აუცილებლად გელოდებით!

მათემატიკის ოლიმპიადა

მე-5 კლასი (I ტური, შემოდგომა, 2025)

ძირითადი დავალებები (თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია):

1) რომელია მეტი, 5·4 თუ 2·10?

A) 5•4 B) 2•10 C) ტოლებია

2) ჩამოთვლილთაგან, რომელია 17·4-ზე მეტი და 17·5-ზე ნაკლები?

A) 76 B) 111 C) 55


3) რაზე უნდა გავამრავლოთ 4, რომ მივიღოთ 20?

A) 5 B) 20 C) 4

4) რომელი ჩანაწერია მცდარი?

A) 4+2<5 B) 3+2>6 C) ორივე

5) სურათზე მოცემული ფიგურებიდან რომელია სამკუთხედი?



A) B B) C C) A

ალტას სახელობის შეკითხვა

6) თუ სერგი არის 10 წლით უფროსი ირაკლიზე, რამდენი წლით უფროსი იქნება მირანდა შოთაზე 8 წლის შემდეგ?

A) 10 B) 18 C) ამის დადგენა შეუძლებელია

7) რიცხვ 456- ში ასეულების თანრიგში არის ციფრი:

A) 4 B) 5 C) 6

8) რომელი ნატურალური რიცხვის თავის თავზე გამრავლებით ვიღებთ რიცხვს, რომელიც მოთავსებულია 63-სა და 77-ს შორის?

A) 8 B) 9 C) ამის გაგება შეუძლებელია

9) თასში 4 მწვანე, 3 ნარინჯისფერი და 10 ვარდისფერი ბურთია. მინიმუმ რამდენი ბურთი უნდა ამოვიღოთ თასში ჩაუხედავად, რომ ამოღებულ ბურთებს შორის აუცილებლად გვქონდეს სამივე ფერის თითო ბურთი მაინც?

A) 15 B) 8 C) 11

10) თუ რომელიღაცა წლის 18 სექტემბერი იყო შაბათი, რა დღე იყო იმავე წლის 25 სექტემბერი?

A) შაბათი B) ხუთშაბათი C) ამის გაგება შეუძლებელია

100 ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 3 ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

<u>ბონუს ბლოკი Tether -ისგან</u>

USD₮ ციფრული ფულია. 1USD₮ ყოველთვის 1$-ია.

1. სკოლის ექსკურსიისთვის გროვდება თანხა. კლასში 20 ბავშვია. თითოეულმა უნდა დადოს 10 USD₮. სულ რამდენი შეგროვდება ციფრულ საფულეში ექსკურსიისათვის თუ ყველა მოსწავლე დადებს თანხას?

A) 200 USD₮ B) 20 USD₮ C) 100 USD₮

2. გიგის ელექტრონულ საფულეში ჰქონდა 500 USD₮. მან იყიდა ველოსიპედი 150 USD₮-ით და 50$-ის ღირებულების ჩაფხუტი. რამდენი დარჩა გიგის ანგარიშზე?

A) 300 USD₮ B) 200 USD₮ C) 350 USD₮

3. ანა ამერიკაშია, საბა საქართველოში. ანამ საბას გაუგზავნა 100 USD₮. საბამ მიიღო ზუსტად 100 USD₮. რა ყოფილა ციფრული ფულის <u>გაგზავნის</u> საფასური?

A) 10 USD₮ B) 0 USD₮ C) 5 USD₮

4.

5. „ლოკო მოკო“ მდიდარია ხილით. 180 გრამიანი ბოთლის შიგთავსის 15% ნატურალური ხილის პიურეა. რამდენი გრამი ხილია ერთ ბოთლში?

A. 18 გრამი B. 27 გრამი C. 36 გრამი